შედგა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს სატელეფონო საუბარი მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვართან

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 04.27.2023. 27 აპრილს შედგა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს სატელეფონო საუბარი მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესიის – ოხრიდის სამთავარეპისკოპოსოს წინამძღვართან, ოხრიდისა და მაკედონიის უნეტარეს მთავარეპისკოპოს სტეფანესთან.

ორი ეკლესიის წინამძღვრებმა ერთმანეთს მიულოცეს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული. ძმური საუბრის პროცესში, რომელიც ძმური სიყვარულისა და ურთიერთგაგების თბილ ატმოსფეროში წარიმართა, განხილულ იქნა მართლმადიდებლურ სამყაროში არსებული ვითარება და ორმხრივი ინტერესის შემცველი სხვა საკითხები.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90287/